საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1233

13/08/2021

ქ. თბილისი

„შპს „ოპტიმუმ ენერჯი ჯორჯია“-ს მდ. ფარავანზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 24 აგვისტოს №ი-230 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2021 წლის 28 ივლისს სამინისტროს მომართა სს „ოპტიმუმ ენერჯი ჯორჯიას“ დირექტორმა და ითხოვა 2012 წლის 23 აგვისტოს გაცემული №34 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2012 წელს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ოპტიმუმ ენერჯი ჯორჯიას“ მდ. ფარავანზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გაიცა №34 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. შესაბამისად, ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „შპს „ოპტიმუმ ენერჯი ჯორჯია“-ს მდ. ფარავანზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 24 აგვისტოს №ი-230 ბრძანება. 2021 წელს კომპანიამ შეიცვალა სამართლებრივი ფორმა და ჩამოყალიბდა სს „ოპტიმუმ ენერჯი ჯორჯიას“ სახელით (იგივე საიდენტიფიკაციო ნომრით), რაც დასტურდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სს „ოპტიმუმ ენერჯი ჯორჯიას“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ოპტიმუმ ენერჯი ჯორჯია“-ს მდ. ფარავანზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 24 აგვისტოს №ი-230 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს სს „ოპტიმუმ ენერჯი ჯორჯიას“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „ოპტიმუმ ენერჯი ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი